შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/47

თბილისი **“ 12 “ ივლისი 2017 წ.**

შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, შპს გთსუ-ის წესდების მე-5 მუხლის, შპს გთსუ-ის შინაგანაწესის 44-ე მუხლის, შპს გთსუ-ის მობილობის დებულების 8 მუხლის, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანის, სამართლის ფაკულტეტის დეკანის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებების და ფაკულტეტების საბჭოს სხდომის ოქმების ამონაწერების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დამტკიცდეს 2017-2018 სასწ/წ შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადები და ადგილები:

- <u>სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე</u>

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე:

ჟურნალისტიკა - 5 ადგილი;
ფსიქოლოგია - 5 ადგილი.

- <u>სამართლის ფაკულტეტზე</u>

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:
სამართალი - 5 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:
სისხლის სამართლის სპეციალობა - 5 ადგილი;
კერძო სამართლის სპეციალობა - 5 ადგილი.

- <u>ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე</u>

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) - 3 ადგილი;
ტურიზმი - 3 ადგილი.

1. განისაზღვროს შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

   - ✓ დოკუმენტების მიღება ფაკულტეტებზე - 29 აგვისტოდან - 5 სექტემბრის ჩათვლით
   - ✓ კრედიტების აღიარება - 6 - 7 სექტემბერი;
   - ✓ გადაყვანის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება - 8 სექტემბერი.

2. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

   - ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
   - ✓ ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით);
   - ✓ ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
   - ✓ პირადობის მოწმობის ასლი;

3. შიდა მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.

4. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

5. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი გიორგი მათიაშვილი